

ს ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
გ.ტ. № 24-17

22.06.2017 წ.

ქ. თბილისი  
ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში  
არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,  
წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის აღექსანდრე თევდორაძის სახით,  
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12,  
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982,  
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,  
ბანკის კოდი: TRESGE22  
ანგარიშის ნომერი: 200122900  
(შემდგომში - „შემსყიდველი“)

და მეორე მხრივ, შპს „ენერგო გადაწყვეტილებები“,  
წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაირა ტალახაძე სახით,  
საიდენტიფიკაციო კოდი: 405 106 237  
მისამართი: შ. ნუცუბიძის მე-3 მკრ. მე-4 კვ. 3 კორპ. ბინა 76.  
საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ანგარიშის ნომერი: GE94BG0000000587053400  
(შემდგომში - „მიმწოდებელი“)

ორივე ერთად წოდებული მხარეებად

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე NAT170004102) საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის აგარა-გომის 7 კილომეტრიანი მონაკვეთის გარე განათების ქსელის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთალრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენის მომსახურების გაწევა (CPV 71320000) - შემდგომში მომსახურება.

**მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს - 64 350,00 (სამოცდაოთხი ათას სამას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით და ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო-სახარჯთალრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციას.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ჯამური (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.5. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების საფუძველზე.

2.6. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პრესკრიტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი. შემსყიდველი აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას.